**პროექტი**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**დადგენილება №**

**2026 წლის __**

**ქ. ოზურგეთი**

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20, 25-ე მუხლების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო :

**ადგენს:**

**მუხლი 1**.დამტკიცდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულება“ თანახმად დანართისა.

**მუხლი 2.**ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №24 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 29/04/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 001026020.35.113.016404).

**მუხლი 3.**_დადგენილება ამოქმედდეს ___ აგვისტოდან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
დავით დარჩია